

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
გოგა თოლორდავას მიერ 2019 წელს გაწეული სამუშაოს

ანგარიში

ჩემს მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს 2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეულ სამუშაოს.

საკრებულოში წარმოვადგენ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველო“-ს. ვარ სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი. საკრებულოს სხდომებთან ერთად სისტემატიურად ვიღებ მონაწილეობას კომისიების მუშაობაში.

როგორც საკრებულოს წევრი მჭიდრო კომუნიკაცია მაქვს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან. განსაკუთრებით აქტიურად ვთანამშრომლობ ახალგაზრდებთან. მათთან ერთად ვმუშაობ სხვადასხვა პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

პროექტ „ღია შეხვედრები მოსახლეობასთან“ ფორმატის მიხედვით მონაწილეობა მივიღე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამართულ შეხვედრებში.

ჩემი საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ამოწურვამდე აქტიურად ვაპირებ გავაგრძელო საქმიანობა ზემოთ ხსენებული მიმართულებებით.

თარიღი: 31.10.2019 წ.